

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა

## საინფორმაციო წერილი

სასწავლო პროგრამების:

“სტაციონარული დაწესებულებების  
კლინიკის მენეჯერის მუშაობის  
ადმინისტრირება“

და

“სტომატოლოგიური კლინიკის მუშაობის  
მენეჯმენტი“

განხორციელების შესახებ

ღრმად პატივცემულო კოლეგა

გაცნობებთ, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა აგრძელებს უწყვეტი სამედიცინოგანათლების სისტემის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის განხორციელებას.

ამ კუთხით მომზადებულია და უკვე ხორციელდება სასწავლო პროგრამები: **“სტაციონარული დაწესებულებების კლინიკის მენეჯერის მუშაობის ადმინისტრირება“** (პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N5 სხდომის გადაწყვეტილებით (რს- 451) და **“სტომატოლოგიური კლინიკის მუშაობის მენეჯმენტი“** (პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N5 სხდომის გადაწყვეტილებით (რს- 452).

სასწავლო პროგრამებში განხილული პრობლემები შერჩეულია ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის, სტრატეგიული მიმართულებების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **2009 წლის N 244/5 და 2017 წლის N 01-21/5 ბრძანებების** (იხ.დანართი 1) გათვალისწინებით.

**პროგრამით გათვალისწინებული საკითხები** შეესაბამება დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საერთაშორისო მოთხოვნებს. იგი ითვალისწინებს სტაციონარული დაწესებულების კლინიკური მენეჯერების და სტომატოლოგიურ კლინიკებში მომუშავე მენეჯერების პროფესიული ცოდნის ამაღლებას ისეთ საკითხებში, როგორცაა:

- ჯანდაცვის კანონმდებლობა;
- სტაციონარის ადმინისტრირების საკითხები;
- ხარისხის მართვის პრობლემები;
- ინფექციური კონტროლი სტაციონარში. ჰოსპიტალური ინფექციების პროფილაქტიკა;
- სტაციონარის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ბიზნეს-გეგმის შედგენა;
- სტატისტიკური ანგარიშგების თავისებურებები;
- სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა. მათი მოქმედების საორგანიზაციო პრინციპები. საყოველთაო დაზღვევის სისტემასთან და კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის საკითხები;
- სტრესული მენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი და მუშაობის პროგრამირება, ფუნქციების დელეგირება, საჭირო საოფისო სისტემების დაგეგმარება.
- ადამიანთა ფაქტორის გამოყენება მენეჯმენტში: მუშაობის პროცესი, არჩევა, მომზადება, განვითარება, დისციპლინარული პროცედურები, თანასწორუფლებიანი შესაძლებლობები, საკონსულტაციო კონტაქტების ეფექტიანი გამოყენება.
- ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალი. ხელმძღვანელობა და ხელმძღვანელობის სტილი; მოტივაციის პრინციპები და მართვის პროცესში წარმოქმნილი კონფლიქტები

**პროგრამის განხორციელების ადგილი:** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 13) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ბაზა (თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6) და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აჭარის ფილიალის ბაზა (მახინჯაური) - აჭარისა და გურიის რეგიონში მომუშავე მენეჯერებისათვის.

## მოკლე ცნობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ:

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი დაარსებულია 1992 წელს. მის სტრუქტურაში წარმატებით მოქმედებს სხვადასხვა სკოლა, ინსტიტუტი და ცენტრი, მათ შორის სამართლის, სააჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებით.

მედიცინის სკოლა ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის სტრუქტურაში 1992 წელს. თავის მუშაობაში მედიცინის სკოლა ითვალისწინებს ქვეყნის სამედიცინო დარგის ინტელექტუალური პოტენციალის მობილიზებას, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესში წარმოქმნილი სიახლეების პროპაგანდას, გრძელ- და მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, არსებული პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევების შედეგების თავმოყრას და მათ ცხოვრებაში გატარებას.

ამის გარდა მედიცინის სკოლა რიგ ქვეყნებთან ახორციელებს პარტნიორულ პროგრამებს, რომელთა ფარგლებში ტარდება სხვადასხვა სახის სასწავლო კურსები.

## პროგრამის განხორციელების ხანგრძლიობა:

სრული პროგრამა გათვლილია 150 სასწავლო საათზე (ლექცია-სემინარების და სხვა კომპონენტების ჩათვლით). მათ შორის იგი ითვალისწინებს:

ლექციების ჩატარებას	42 საათი
სემინარულ მუშაობას	62 საათი
დისკუსიებს	4 საათი
კომპიუტერთან მუშაობას	8 საათი
პროექტის მომზადებას და მის დაცვას	4 საათი

იმის გათვალისწინებით, რომ სტაციონარებში და სტომატოლოგიურ კლინიკებში მომუშავე მენეჯერებს შესაძლოა გაუჭირდეს გადამზადების სრული კურსის ერთდროულად გავლა, სასწავლო პროგრამა დაყოფილია 6 ერთკვირიან მოდულად (25 სასწავლო საათი), რომლებიც ითვალისწინებენ:

ლექციების ჩატარებას	7 საათი
სემინარულ მუშაობას	12 საათი
დისკუსიები	2 საათი
მსმენელთა ტესტირებას	2 საათი

## მოდულების ჩამონათვალი:

- **ჯანდაცვის კანონმდებლობა** (სტაციონარის და სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრირების რეგულირების პრობლემები, კანონქვემდებარე აქტების, ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დეტალური განხილვით);
- **ხარისხის მართვის პრობლემები** (სტაციონარის და სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრირების რეგულირების თეორიული და პრაქტიკული საკითხები,

კანონქვემდებარე აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების დეტალური განხილვით);

- **ინფექციური კონტროლი** სტაციონარში (სტაციონარში და სტომატოლოგიურ კლინიკაში ჰოსპიტალური ინფექციების პროფილაქტიკ თეორიული და პრაქტიკული ასპექტები კანონქვემდებარე აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების დეტალური განხილვით);;
- **სამედიცინო დაწესებულების** ეკონომიკური განვითარების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ბიზნეს-გეგმის შედგენა;
- **სტატისტიკური ანგარიშების თავისებურებები;**
- **ადამიანური ფაქტორის გამოყენება მენეჯმენტში:** მუშაობის პროცესი, არჩევა, მომზადება, განვითარება, დისციპლინარული პროცედურები, თანასწორუფლებიანი შესაძლებლობები, საკონსულტაციო კონტაქტების ეფექტიანი გამოყენება. ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალი. ხელმძღვანელობა და ხელმძღვანელობის სტილი; მოტივაციის პრინციპები და მართვის პროცესში წარმოქმნილი კონფლიქტები

**პროგრამაში ჩართული პედაგოგები:** პროგრამის ხელმძღვანელი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი ოთარ გერზმავა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ როგორც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ცნობილი სპეციალისტები, მათ შორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, თბილისის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პასუხისმგებელი მუშაკები.

**მსმენელთა უზრუნველყოფა სასწავლო მასალებით:** მსმენელები მიიღებენ სასწავლო მასალას ცალკეული ბროშურების სახით.

ასევე ყოველ მსმენელზე გაიცემა ცალკე დისკი, რომელზედაც განთავსებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი.

**მსმენელთა სასწავლო კურსზე ჩარიცხვა** ხორციელდება როგორც ინდივიდუალურად (უნივერსიტეტთან სათანადო კონტრაქტის გაფორმებისა და მის ანგარიშზე სწავლის ღირებულების გადახდის საფუძველზე), ასევე უნივერსიტეტის მიერ ცალკეულ ორგანიზაციებთან სათანადო კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე.

**უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები:** სააქციო საზოგადოება “ხალიკ ბანკი საქარველო”

საბანკო კოდი –HABGGE22

მიმღების დასახელება: შპს “გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი”

საიდენტიფიკაციო კოდი: 200002120

ანგარიშსწორების ანგარიში:GE91HB0000000006903602”

თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.)

## **სწავლის ღირებულება**

### **მთლიანი კურსის ხანგრძლივობა**

6 კვირა - 150 სასწავლო საათი (სრული კურსი მოიცავს 6 მოდულს და პროექტის დაცვას)

სწავლის ღირებულება (ერთ მსმენელზე) - 300 ლარი

### **ცალკეული მოდულის ხანგრძლივობა**

1 კვირა - 25 სასწავლო საათი (ერთკვირიანი სასწავლო მოდული და ტესტირება)

სწავლების ღირებულება (ერთ მსმენელზე) - 65 ლარი

### **პროგრამის განხორციელების დრო და განრიგი:**

სწავლება განხორციელდება დღის მეორე ნახევარში (წინასწარ შედგენილი გრაფიკი საათებისა და დღეების მინიშნებით დგინდება ინდივიდუალურად, ჯგუფთან შეთანხმებით).

**სერტიფიკატის გაცემა:** ცალკეული მოდულის ან გადამზადების მთლიანი კურსის დასრულების შემდგომ მსმენელზე გაიცემა სათანადო სერტიფიკატი:

გავლილი მოდულის (დასახელების მითითებით) გავლის შესახებ

მთლიანი კურსის დამთავრების (ან ცალკეული მოდულების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატების შემოწმების საფუძველზე) გაიცემა სერტიფიკატი მენეჯმენტში მთლიანი (ექვსკვირიანი) კურსის გავლის შესახებ.

### **საკონტაქტო ინფორმაცია:**

593678085

E-MAIL: [ingamargvelidze@gmail.com](mailto:ingamargvelidze@gmail.com)

WEB გვერდი: [gruni.edu.ge](http://gruni.edu.ge) (ბმული კლინიკის მენეჯერთა გადამზადების პროგრამა)

**ყურადღება:** აპლიკანტები წინასწარ ათანხმებენ სასწავლო კურსის პასუხისმგებელ პირთან თუ რომელი სასწავლო მოდულის გავლას (და რა თანმიმდევრობით) აპირებენ.

სათანადო ჯგუფის დაკომპლექტების შემდგომ მომავალ მსმენელს მიეწოდება სასწავლო ცხრილი, პედაგოგის და მეცადინეობების ჩატარების ადგილის მითითებით.